

ნიკო სულხანიშვილი

კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი 1871 წ. სოფელ აწყურში ღარბი აზნაურის ოჯახში დაიბადა.

პირველი დაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. დამთავრების შემდეგ, 1884 წ. იგი თბილისის სასულიერო გიმნაზიაში გადმოიყვანეს სასწავლებლად, სადაც აქტიურად ესწრებოდა დ. აღნიაშვილის გუნდის რეპეტიციებსა და კონცერტებს.

1886 წ. ნ. სულხანიშვილი კვლავ დაბრუნდა თელავში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ მუსიკალური განათლების მიღების სურვილმა ისევ თბილისისკენ ააღებინა გეზი. მან გამოჩენილ პედაგოგ დ. უსატოვთან დაიწყო მეცადინეობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და კვლავ თელავში დაბრუნდა, სადაც სასულიერო სასწავლებელში, სიმღერის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. სასწავლებელში თითქმის ათი წელი დაჰყო და როგორც კომპოზიტორმა დიდ წარმატებებს მიაღწია.

პარალელურად ნ. სულხანიშვილი მუშაობდა ფოლკლორის საკითხებზე. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და იწერდა, ხოლო შემდეგ ამუშავებდა ხალხურ სიმღერებს. ასევე ქმნიდა რომანსებსა და საგუნდო სიმღერებსაც.

1890 წელს ჩამოაყალიბა ქართული გალობის გუნდი.

1918 წლიდან ფილარმონიის კაპელის ლობზარი და „ქართულ სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა“ გუნდის ხელმძღვანელი გახდა. 1918 წლის 10 ივნისს ზემოთხსენებულმა გუნდმა კონცერტი გამართა, რომლის პროგრამა მთლიანად ქართულ ნაწარმოებებზე იყო აგებული. შეასრულეს დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, ზ. ფალიაშვილისა და ი. ჯაბადარის ნაწარმოებები. კონცერტმა დიდი აღიარება მოუტანა ქართველ შემსრულებლებს. წარმოდგენაში ასევე მონაწილეობდნენ ვანო სარაჯიშვილი, ო. კალანდაძე-ადასოვისა, ვ. ლორთქიფანიძე, მევიოლინე ი. აბაშიძე. ჩონცერტს ესწრებოდა კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი. ხელოვნების სასახლეში დაცულ სწორედ ამ პროგრამიდან ვკითხულობთ, რომ - **„კათალიკოსის შესახვედრად გუნდი შესარულებს „ტონ დესპოტინს“ ამ შემთხვევისთვის დაწერილს ნ. კ. სულხანიშვილის მიერ“.**

სამწუხაროდ ნ. სულხანიშვილის შემოქმედებიდან უმეტესი ნაწილი დაკარგულია, თუმცა შემონახულთაგან აღსანიშნავია „თელავიეზა“ (1905); „გუთნური“ (1913. ი. ჭავჭავაძე, „გუთნის დედა“); „ტურფავ მოდი“, „მშვენიერი ხარ“, „სამშობლო ხევსურისა“ (1913. დ. ერისთავი); „მესტიური“ (1913. აკ. წერეთელი); „დიდება ივერსა“, „მაშ, გამარჯვება“ (1913. ს. ფაშალიშვილი); „ღმერთო, ღმერთო“, „სამშობლო“ (1919. ქორალი. შ. რუსთაველი); რომანსები - „ტურფავ მოდი ნუ ხარ მტრულად“, „მო, ზუალო“ (შ. რუსთაველი). არასრული ოპერა „პატარა კახი“, რომელიც აკაკი წერეთლის ტექსტზე გმირულ-პატრიოტულ თემაზეა შექმნილი. შემორჩენილია აგრეთვე ამავე ოპერიდან ქვაბულიძის არია „დაიგვიანეს“ და არია პატარა კახის „ძლივს მარტო დაერჩი“.

ნიკო სულხანიშვილი თავადვე წერდა ლიბრეტოებს და ამუშავებდა საგუნდო სიმრერებსა და რომანსებს, რომლებიც ხშირად სრულდებოდა კონცერტებსა და შემოქმედებით საღამოებზე.

უსახსრობის გამო ნ. სულხანიშვილი დაავადდა და 1919 წლის 3 დეკემბერს გარდაიცვალა. დასაფლავებულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მის შესახებ ცნობები სამწუხაროდ მწირია, თუმცა ხელოვნების სასახლეში დაცულია სანოტო მასალა, რომელიც მისივე ავტოგრაფია და დიდ ფასეულობას წარმოადგებს, როგორც მუსიკადმცოდნე მკვლევართათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ნ. სულხანიშვილის სიმღერა „სამშობლო ხევსურისა“. უთარილო. ხელნაწერი. ნოტი. მელანი. ფანქარი. 4 გვ.
2. ნ. სულხანიშვილის სიმღერა მიძღვნილი მსახიობ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილისადმი. სიტყვები ვაჟა-ფშაველასი. უთარილო. ხელნაწერი. ნოტი. მელანი. 5 გვ.
3. ნ. სულხანიშვილის ოპერა „პატარა კახი“, „მწუხრის არის „დაიგვიანეს“. უთარილო. ხელნაწერი. კლავირი. ფანქარი. 3 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნ. სულხანიშვილის ღია ბარათი, წერილი

4. ნ. სულხანიშვილის ღია ბარათი ბაბოსადმი (?), წინამძღვრიანთკარის სკოლის იუბილეზე მიწვევასთან დაკავშირებით. 1913 წ. 15 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
5. ნ. სულხანიშვილის წერილი ბაბოსადმი (?), ბაქოში მუშაობასა და სხვა ყოფით პრობლემებთან დაკავშირებით. პირი: იროდიონი, ჩაიკაძე, შანშიაშვილი. უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

პროგრამები

6. ქართულ კლუბში გამართული „ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის“ მიერ გამართული კონცერტის პროგრამა ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით. 1918 წ. 9 ივნისი. სტამბური. 1 ც. 2 ეგზ.
7. ქართულ კლუბში გამართული „ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის“ მიერ გამართული კონცერტის პროგრამა ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით. 1918 წ. 9 ივლისი. სტამბური. 1 ც.
8. ნ. სულხანიშვილის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა კონცერტის პროგრამა. 1922 წ. 20 ივნისი. 1 ც. 3 ეგზ.

სხვადასხვა

9. უცნობი პირის წერილი სახალხო განათლების მინისტრისადმი, სულხანიშვილების ოჯახის სასარგებლოდ საღამოს გამართვის შესახებ.

პირი: დ. არაყიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ი. აბაშიძე.

1920 წ. 21 ივნისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

10. ანა სულხანიშვილის (ნ. სულხანიშვილის მეუღლე) თხოვნის წერილი საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების განყოფილებისადმი, სულხანიშვილების მამულის შესაწამლად 3 ფუთი შაბიამნისა და 3 ფუთი გოგირდის მიწოდების შესახებ.

1921 წ. 15 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

11. ანა სულხანიშვილის (ნ. სულხანიშვილის მეუღლე) განცხადება საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების განყოფილების სამუსიკო სექციის თავმჯდომარისადმი, ნ. სულხანიშვილის ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ. განცხადებას ერთვის კომპოზიტორის ნაწარმოებთა ჩამონათვალი.

პირი: ილია აბაშიძე, ვიქტორ დანოვსკი (კაპელის გამგე), ვანო სარაჯიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი.

1921 წ. 16 ივნისი. ტფილისი. ხელნაწერი. მწვანე და წითელი მელანი. 2 გვ.